ავტობიოგრაფია

ხატია არდაზიშვილი, დავიბადე 1984 წლის 23 თებერვალს ქ. თბილისში.

2000 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 173-ე საშუალო სკოლა.

2005 წელს დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

2003-2004 წლებში გავიარე იურიდიული კლინიკის პროგრამა არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლში.“

2004 წელს გავიარე ადვოკატთა სტაჟირების სრული კურსი არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრში.“

2004-2005 წლებში გავიარე პრაქტიკა თბილისის საოლქო სასამართლოში.

2005 წელს ვმუშაობდი არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრში“ ადვოკატის პოზიციაზე.

2005 წელს ვმუშაობდი თბილისის საოლქო სასამართლოში სხდომის მდივნად.

2005-2006 წლებში ვმუშაობდი თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებლად.

2006-2011 წლებში ვმუშაობდი თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწედ.

2007 წელს ჩავაბარე პროკურატურის მოხელეთა საკვალიფიკაციო გამოცდა და ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

2009 წელს ჩავაბარე მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა.

2011-2012 წლებში ვიყავი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

2012-2019 წლებში ვიყავი თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

2019 წლის 03 ივნისიდან დღემდე ვარ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე.

2018 წლის 21 მაისიდან ვარ სპიკერ-მოსამართლე.

2018 წლიდან ვარ საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი.

2019 წლის 02 აგვისტოდან ვარ ა(ა)იპ საქართველოს ქალ მოსამართლეთა ასოციაციის გამგეობის წევრი.

2019 წლის 06 სექტემბრიდან ვარ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრი.

2019 წლის 05 ოქტომბრიდან ვარ ა(ა)იპ საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის გამგეობის წევრი.

ვფლობ რუსულ და ინგლისურ ენებს.

მყავს მეუღლე და ერთი შვილი.

ხატია არდაზიშვილი

08.10.2019 წელი.